# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

## სამოქალაქო საზოგადოება აღდგენისუნარიანობისა და უსაფრთხოებისთვის (CiSSCo)

**განხორციელების ვადა:** 01.01.2022 - 31.10.2024

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 1 115 693

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 1 446 164

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
GLOBAL INITIATIVE ON PSYCHIATRY-TBILISI

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/Global-Initiative-on-Psychiatry-Tbilisi-456942020995249/,

**პროექტის ვებსაიტები:** fgip-global.org/home/about/organisation/gip-tbilisi/

**პროექტის აღწერა:**

პროექტი მიმართულია გააძლიეროს  შესაბამისი სახელმწიფო და არასამთავრობო აქტორების, ასევე ადიქციასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე მულტიდისციპლინური სერვისების შესაძლებლობები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობა; ხელი შეუწყოს იმ ადამიანების უფლებების დაცვას, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს, განსაკუთრებული აქცენტით ქალებზე; გააძლიეროს დაუცველი თემების წარმომადგენლები, გასწიოს ადვოკატირება და ხელი შეუწყოს  შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტურ დიალოგს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. გაძლიერებული ეროვნული შესაძლებლობები და ინსტიტუციური მექანიზმები, შევსებული მომსახურების ხარვეზები ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდების დანაშაულისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციის სისტემაში, რის შედეგადაც გაუმჯობესებულია მათი ჯანმრთელობა და პრო-სოციალური განვითარების ტრაექტორიები;
2. უზრუნველყოფილი, უფლებებზე დაფუძნებული და საჭიროებებზე-მორგებული პოლიტიკა, სტრატეგიები, მკურნალობასა და ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე მიმართული მომსახურება ადამიანებისა, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს, განსაკუთრებული აქცენტით  ქალებზე, რაც აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხსა და სოციალურ ინტეგრაციას;
3. გაძლიერებული დაუცველი თემები, ჯანმრთელი ცხოვრების წესით და უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობის სტრატეგიებით და დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტური დიალოგი, რის შედეგადაც გაზრდილია საზოგადოების ერთიანობა, აღდგენისუნარიანობა და უსაფრთხოება.